არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ასოციაცია მეცნიერებისათვის“ წესდება

მუხლი 1
ზოგადი დებულებები

1.1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ასოციაცია მეცნიერებისათვის“ წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად შექმნილ წევრობაზე დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.
1.2. საზოგადოების სახელწოდება: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ასოციაცია მეცნიერებისათვის“ ინგლისურად: Non-entrepreneurial (non-commercial) legal entity "Association for Science".
1.3. სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
1.4. იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, მუხიანის დას. 1 მ/რ 5 კორპ. ბ. 70
1.5. საწარმოს ელექტრონული ფოსტის მისამართი: info@4science.ge
1.6. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი თავისი წევრის (წევრების), აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) მდგომარეობისაგან დამოუკიდებელია. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მისი ქონებით. მას აქვს საკუთარი ბალანსი, საბანკო ანგარიშ(ებ)ი და შესაბამისი ატრიბუტიკა (ლოგო, ბლანკი და სხვა). ასოციაციას შესაძლოა ჰქონდეს ბეჭედი, რომელიც არ წარმოადგენს სავალდებულოს ორგანიზაციის წარმომადგენლობის განხორციელებისას. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ვალდებულებებისათვის მისი წევრები, აგრეთვე მისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) პასუხს არ აგებენ. ასევე არ აგებს პასუხს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი საკუთარი წევრების, აგრეთვე თავისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) ვალდებულებებისათვის.

1.7. საზოგადოების საქმიანობის მიზნები:
- საქართველოს მოქალაქეთათვის ინფორმაციისა და ცოდნის მიღებისათვის საჭირო თანაბარი და მოსახერხებელი პირობების შექმნა;
- მეცნიერების განვითარებისათვის საჭირო საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ავტომატიზირებული ინტეგრირებული სისტემების დანერგვა და განვითარება.
- საქართველოში ერთიანი საინფორმაციო პოლიტიკის სისტემის ჩამოყალიბების, მისი ეფექტური მუშაობის და ანალოგიურ საერთაშორისო სისტემებში ინტეგრაციის ხელშეწყობა;
- ასოციაციის წევრთა სამუშაო გეგმების კოორდინაცია და ერთობლივი პროექტების შემუშავება;

ზემოთ დასახელებული მიზნების მისაღწევად ასოციაცია შემდეგი სახის საქმიანობას ეწევა:

- აწყობს სამეცნიერო სფეროში აქტუალურ პრობლემათა ფართო განხილვას და ანალიზს, ხელს უწყობს ამ პრობლემათა ირგვლივ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებასა და

შედეგების საჯაროობას; თანამშრომლობს აღნიშნულ სფეროში მოღვაწე ნებისმიერ ორგანიზაციასა თუ კერძო პირთან;

- ხელს უწყობს აღნიშნულ სფეროში თანამედროვე მიდგომების, მეთოდებისა და ტექნოლოგიების დამკვიდრებას და განვითარებას;
- აარსებს და დახმარებას უწევს სასწავლო და კვალიფიკაციის ასამაღლებელ, პროფესიული დახელოვნების კურსებს, თანამშრომლობს არსებულ სასწავლო ცენტრებთან;
- გამოსცემს და ავრცელებს სასწავლო, მეთოდურ, ნორმატიულ და სხვა სახის მასალებს, ქმნის საკუთარ საგამომცემლო ბაზას;
- აწყობს რეგულარულ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებს, სემინარებს, სიმპოზიუმებს და სხვა ღონისძიებებს აქტუალურ პრობლემათა ირგვლივ;
- ხელს უწყობს მეცნიერებისა და განათლების სფეროში ინოვაციური პროექტების პოპულარიზაციას;
- მოთხოვნილების შესაბამისად ქმნის ასოციაციის რეგიონალურ ან დარგობრივ ქვეგანაყოფებს, რომლებიც შესაბამის რეგიონში ან სფეროში ეწევიან საქმიანობას ასოციაციის საერთო მიზნების მისაღწევად;
- ეწევა კანონით ნებადართული ნებისმიერი სახის საქმიანობას თავისი მიზნების მისაღწევად, საჭიროების შემთხვევაში ქმნის დაქვემდებარებულ კომერციულ საწარმოებს, რომელთა შემოსავალი ასოციაციის საქმიანობას და განვითარებას ხმარდება;

1.8. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია.
1.9. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ გასხვისება ემსახურება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს.

მუხლი 2
საზოგადოების დამფუძნებლები

2.1. საზოგადოების დამფუძნებლები არიან:

1. თამარი ხახუტაშვილი, პირადი ნომერი: 01003015633, მისამართი: ქ. თბილისი, მუხიანის დას. 1 მ/რ 5 კორპ. ბ. 70, დაბადების თარიღი: 6 თებერვალი 1972 წელი.
2. ნინო ბერიანიძე - პირადი ნომერი 01001067713, მისამართი: ქ. თბილისი, მუხიანის დას, მე-2-ე მ/რ, კორპ. 18, ბინა 102, დაბადებული 5 ნოემბერი 1990 წელი.
3. მარიეტა სულაბერიძე - პირადი ნომერი 01003013367, მისამართი: ქ. თბილისი, მუხიანის დასახლება 1-ლი მ/რ, კორპ. 5, ბინა 35, დაბადების თარიღი: 5 აგვისტო 1972 წელი.

მუხლი 3
საზოგადოების მართვა

3.1. ასოციაციის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა ასოციაციის წევრთა საერთო კრება, რომელიც მოიწვევა გამგეობის მიერ წელიწადში ერთხელ;
3.2. საერთო კრების დღის წესრიგში წესდების ცვლილებების საკითხის შეტანას წყვეტს გამგეობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ცვლილებებისა და დამატებების პროექტი წარდგენილ იქნა ასოციაციის წევრთა ერთი მეოთხედის მოთხოვნით.
3.3. საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა 1/4. საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრეთა უმრავლესობით, თუ წესდებით ან კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ყოველ წევრს აქვს ერთი ხმა. ხმის გადაცემა დაუშვებელია.
3.4. შესაძლებელია რიგგარეშე საერთო კრების მოწვევა, ასოციაციის პრეზიდენტის, გამგეობის, ან წევრთა 1/3-ის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

საერთო კრების უფლებამოსილებები

საერთო კრება:

ა) დამსწრეთა ორი მესამედის უმრავლესობით იღებს ასოციაციის წესდებას და ცვლილებები შეაქვს მასში;

ბ) ფარული კენჭისყრით დამსწრეთა ფარდობითი უმრავლესობით ირჩევს გამგეობის წევრებს. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში იმართება წილისყრა;

გ) ისმენს ასოციაციის საქმიანობისა და ფინანსურ ანგარიშს;

დ) დამსწრეთა ორი მესამედით იღებს გადაწყვეტილებას ასოციაციის რეორგანიზაციის შესახებ;

ე) იღებს გადაწყვეტილებას წევრის ასოციაციიდან გარიცხვის შესახებ.

ვ) ამტკიცებს ასოციაციის საშტატო განრიგს, ასოციაციის პრეზიდენტის და სხვა დაქირავებულ პირთა შრომის ანაზღაურების ოდენობებს;

მუხლი 4
საზოგადოების ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

4.1.ასოციაციის ხელმძღვანელი ორგანოა გამგეობა, რომლის წევრებსაც ირჩევს საერთო კრება.
4.2.გამგეობის წევრთა რაოდენობა უნდა იყოს არანაკლებ 3 და არაუმეტეს 15-ისა.
4.3.გამგეობის სხდომები იმართება ყოველი კენტი თვის ბოლო კვირაში. რიგგარეშე სხდომა მოიწვევა ასოციაციის პრეზიდენტის მიერ საკუთარი ინიციატივით ან გამგეობის წევრთა ერთი მესამედის მოთხოვნით. გამგეობა უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. გამგეობის წევრებს და ასოციაციის ტერიტორიული და სხვა სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს გამგეობის ჩატარების თარიღისა და

დღის წესრიგის შესახებ ეცნობებათ სხდომამდე 7 დღით ადრე მაინც, ხოლო რიგგარეშე სხდომის მოწვევის შემთხვევაში მოწვევისთანავე.

4.4.გამგეობის სხდომა შეიძლება ჩატარდეს ან მასში გამგეობის წევრმა მონაწილეობა მიიღოს ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების (ინტერნეტი, ტელეფონი და სხვ.) გამოყენებით (ვიდეო კონფერენცია).

4.5.გამგეობის წევრს ასევე უფლება აქვს წერილობით ან/და ელექტრონული საშუალებების გამოყენებით (ელექტრონული ფოსტა, ჩატი და სხვა) გამოხატოს პოზიცია განსახილველი საკითხის შესახებ და ამ სახით მიიღოს მონაწილეობა კენჭისყრაში. ამ პუნქტით გათვალისწინებული წესით გამგეობა უფლებამოსილია მიიღოს ნებისმიერი გადაწყვეტილება, თუ წესდებით გადაწყვეტილების მისაღებად გათვალისწინებული არ არის ფარული კენჭისყრის ჩატარება.

4.6.გამგეობის წევრთაგან ფარული კენჭისყრით ირჩევს ასოციაციის თავმჯდომარეს (პრეზიდენტს); თავმჯდომარის წარდგინებით გამგეობის წევრთაგან ფარული კენჭისყრით ირჩევს მის მოადგილეს;

4.7.იძლევა თანხმობას აღმასრულებელი დირექტორის დანიშვნაზე;

4.8.ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე – პრეზიდენტი.

4.8.1 ასოციაციის პრეზიდენტი უზრუნველყოფს გამგეობის გადაწყვეტილებათა შესრულებას. იგი უფლებამოსილია წარმოადგენდეს ასოციაციას სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ურთიერთობისას, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ. იგი ასოციაციის სახელით აწარმოებს მოლაპარაკებებს, დებს ხელშეკრულებებს, აწარმოებს გარიგებებს, გასცემს მინდობილობებს, ხსნის და ხურავს საბანკო ანგარიშებს, წარმოადგენს ასოციაციას სასამართლოში.

4.8.2 ასოციაციის პრეზიდენტი წარმართავს ასოციაციის საერთო კრებას და გამგეობის კრებებს;

4.8.3 ასოციაციის პრეზიდენტი წარუდგენს ასოციაციის საერთო კრებას წლიური საქმიანობის ანგარიშს;

4.9.აღმასრულებელი დირექტორი კოორდინირებას უწევს ასოციაციის მიმდინარე საქმიანობას, პრეზიდენტის არყოფნის ან შეუძლოდ ყოფნის შემთხვევაში ასრულებს მის მოვალეობებს.

მუხლი 5

წევრთა უფლებები და მოვალეობები

მუხლი 5 – ასოციაციის წევრები, მათი უფლებები და მოვალეობები

5.1. ასოციაციის წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ორგანიზაცია და კერძო პირი ეროვნული, რელიგიური ან რასობრივი ნიშნების განურჩევლად, რომელიც აღიარებს ასოციაციის მიზნებს, ეთანხმება წესდების დებულებებს;

5.2. წევრს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ასოციაციის ნებისმიერ საქმიანობაში, მიიღოს ინფორმაცია პროექტების მიმდინარეობის შესახებ (მათ შორის ფინანსურ საკითხებზე), აირჩიოს ან არჩეულ იქნას ასოციაციის მმართველ ორგანოებში.

5.3. ასოციაციის წევრად მიღების ან წევრობის შეწყვეტის წესები განსაზღვრულია წინამდებარე წესდებაში.

5.4 საწევრო გადასახადის ოდენობას განსაზღვრავს ასოციაციის მმართველი ორგანოები.

5.5 ასოციაციის წევრობის მსურველმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს ასოციაციის გამგეობას. წევრად მიღებას და რეგისტრაციას აწარმოებს გამგეობა. ასოციაციის წევრი ჩაითვლება წევრად მანამ, სანამ იგი ასრულებს ასოციაციის წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს, იცავს ასოციაციის წესდებას და ნორმებს.
5.6 ასოციაციის წევრი არ არის ინდივიდუალურად პასუხისმგებელი ასოციაციის ვალდებულებებსა და გარიგებებზე, ისევე, როგორც ასოციაცია არ აგებს პასუხს თავის წევრთა ინდივიდუალურ საქმიანობაზე.
5.7 ასოციაციის წევრობის შეწყვეტა ხდება:
ა) თუ წევრი მიმართავს წერილობითი თხოვნით გამგეობას წევრობაზე უარის თაობაზე,
ბ) თუ იგი არ გადაიხდის საწევრო გადასახადს გადახდის ვადის დადგომიდან 6 თვის განმავლობაში,
გ) თუ წევრი ჩაიდენს ასოციაციის წესდების შეუსაბამო მძიმე დანაშაულს,
დ) სხვა მიზეზით, ასოციაციის საერთო კრების გადაწყვეტილებით, ხმის უფლების მქონე წევრების საერთო რაოდენობის 2/3-ის უმრავლესობით.

მუხლი 6

საზოგადოების ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია

6.1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ასოციაციის დამფუძნებლები.

6.3. ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს უფლებამოსილ პირებს.

6.4. გადაწყვეტილება საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

6.5. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს განსაზღვრავენ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლები. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციისას ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ:

ა) გასხვისება ხელს უწყობს მის მიერ დასახული მიზნების განხორციელებას;

ბ) ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს;

გ) ქონება გადაეცემა სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

6.6. აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის.

6.7. თუ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებმა არ განსაზღვრეს ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირი, სასამართლო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას გადასცემს შესაბამისად ერთ ან რამდენიმე არასამეწარმეო (არაკომერციულ)

იურიდიულ პირს, რომლებსაც აქვთ იგივე ან მსგავსი მიზნები, როგორიც ლიკვიდირებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს. თუ ასეთი ორგანიზაციები არ არსებობს ან შეუძლებელია ასეთი ორგანიზაციების გამოვლენა, მაშინ შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ. სასამართლომ ქონება შეიძლება გაანაწილოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან 6 თვის შემდეგ.

6.8. ლიკვიდაციას ახორციელებს ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) ან კანონით დადგენილი წესით დანიშნული ლიკვიდატორი. ლიკვიდატორი პასუხს აგებს, როგორც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი.

მუხლი 7
დასკვნითი დებულებები

7.1. წინამდებარე წესდება (დამფუძნებელთა შეთანხმება) ძალაში შედის ყველა დამფუძნებლის მიერ ხელმოწერის მომენტიდან.

7.2. თუ ამ წესდების (დამფუძნებელთა შეთანხმების) რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.

7.3 ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.

<u>თამარი ხახუტაშვილი</u>
(დამფუძნებლის/წევრის სახელი, გვარი)

(ხელმოწერა)

<u>ნინო ბერიანიძე</u>

(დამფუძნებლის/წევრის სახელი, გვარი)

(ხელმოწერა)